

კინგის ქართული ენის ოლიმპიადის I ტური

მე-11 კლასი

სავარჯიშო I - წაკითხულის გააზრება

ერის საუნჯე - „ვეფხისტყაოსანი“

ავთანდილი გაემართა ტარიელის სატრფოს - ნესტან-დარეჯანის სამებნელად და გზად მიმავალი გადაეყარა ვაჭართა ქარავანს. მეკობრეებისგან შეშინებული მექარავნები იდგნენ ზღვის ნაპირას და ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ავთანდილმა მათ დახმარება შესთავაზა და გაიმარჯვა კიდეც მეკობრეებთან ბრძოლაში, რის გამოც ვაჭრებმა უდიდესი მადლობა გადაუხადეს.

*„ყმამან უთხრა: მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა,
ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწვენადსა.“*

ავთანდილმა მიაგნო ნესტან-დარეჯანის ადგილ-სამყოფელს და გახარებული ბრუნდება ტარიელთან, რათა აცნობოს ყოველივე და გადასცეს სატრფოს ხელით დაწერილი ბარათი. ტარიელი მოკლული ლომ-ვეფხვის ტყვეობაშია და ავთანდილის დანახვამ ძალზედ გაახარა, თუმცა ნესტანის პოვნის ამბავი ვერ დაიჯერა. მაშინ აჩქარდა ავთანდილი და სატრფოს წერილი აჩვენა ტარიელს, რომელიც მოულოდნელობისგან უგონოდ დაეცა. ამით შეწუხებული ავთანდილი ამბობს:

*„აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყვი წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.“*

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (30 ქულა)

- ავთანდილის აზრით, რატომ უნდა უძღვნიდნენ ვაჭრები მადლობას ღმერთს და არა მას?
 - იმიტომ, რომ ავთანდილი თავმდაბალი ადამიანია;
 - იმიტომ, რომ ავთანდილმა წარმატება უფლის შემწეობით მოიპოვა;
 - იმიტომ, რომ ვაჭრები მუდამ უნდა ემადლიერებოდნენ ღმერთს;
- უფლის აღმნიშვნელი რამდენი შესიტყვებაა I სტროფში?
 - ერთი
 - ორი
 - სამი
- ვინ არიან „ძალნი ზეციერნი“?
 - უფალი
 - ეშმაკი
 - ანგელოზები
- რას იქმან „ძალნი ზეციერნი“?
 - იქმან ყველაფერს კარგს;
 - იქმან როგორც დაფარულს, ასევე ცხადს;
 - იქმან ბრძენთა ნასწავლს;
- მომებნეთ ანტონიმები I სტროფიდან: ა) იდუმალი - ცხადი ბ) ღმერთი - შემოქმედი გ) დაფარული - იდუმალი
- რატომ არის, ავთანდილის აზრით, ადამიანის გული ძნელად დასამორჩილებელი?
 - იმიტომ, რომ მასში უფლის ნებაა;
 - იმიტომ, რომ იგი კარგსაც და ავსაც ერთნაირი სიშლეგით ხვდება;
 - იმიტომ, რომ მუდამ შეყვარებულია;
- რა არის ის, რაც „მიწყვი წყლულდების“?
 - ადამიანის ბედი
 - ადამიანის გონება
 - ადამიანის გული
- რას ნიშნავს „მიწყვი“?
 - მუდამ
 - წარსულში
 - სიკვდილის შემდეგ
- ვინ უნდა მიენდოს სოფელს ანუ საწუთროს?
 - საკუთარ თავზე შეყვარებული კაცი
 - ვინც საკუთარი თავის მტერია
 - ყველა ბრძენი და გონიერი
- ახსენით აფორიზმი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“!
 - მეგობრის ძიება არაა საჭირო, ის თავისთავად გახდება შენი მეგობარი;
 - ვინც კარგად მოგექცევა, ყველა შენი მეგობარია;
 - უმეგობროდ ყოფნა წუთისოფელში საკუთარი თავის მტრობის ტოლფასია;

სვარჯიშო II - ლიტერორიის საკითხები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. რა არის მოთხრობა?
 - ა) მოთხრობა არის ეპოსის ისეთი სახე, რომელშიც მოცემულია მწერლის მიერ გამოგონილ, აღწერილ ან გათვალისწინებულ ადამიანთა ჯგუფისა და მთელი სოციალური წრის მთლიანი ცხოვრების ვრცელი სურათი.
 - ბ) მოთხრობა არის ფანტასტიკური შინაარსის ზეპირი მოთხრობა, რომელიც მხატვრულ ფორმებში გადმოგვცემს საზოგადოებრივი ცხოვრების ან ბუნების ამა თუ იმ მოვლენას.
 - გ) მოთხრობა არის ეპოსის ისეთი სახე, რომელშიც ვრცლად არის მოთხრობილი ერთი ამბავი.
12. რა არის სარკაზმი?
 - ა) სარკაზმი არის ისეთი ქარაგმული სახე, რომელიც აზრის შენიღბულად, გადატანითი მნიშვნელობით გამოხატვას ემსახურება.
 - ბ) სარკაზმი არის თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამმდგარებული ციტატა, ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას.
 - გ) სარკაზმი არის ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია.
13. რა არის რითმა?
 - ა) რითმა არის ერთი და იმავე ან დამსგავსებული ბგერების გამეორება ლექსის ტაქტში ან ხანაში.
 - ბ) რითმა არის რვასტრიქონიანი ლექსი, რომლის მეოთხე და მეშვიდე სტრიქონი იმეორებს პირველს, ხოლო მერვე - მეორეს.
 - გ) რითმა არის ლექსების ერთობლიობა.
14. რომელ წინადადებაშია გამოყენებული გაპიროვნება?
 - ა) „თენგო ერთხანს გაბრუებული იდგა, მერე უნებურად კისერზე მოისვა ხელი და ქვის კიბეზე სწრაფად ჩაირბინა.“
 - ბ) „დათვს წინა თათები წინ გაეშვირა და რაღაცას იღეჭებოდა.“
 - გ) „წვალობდა დათვი, იღრინებოდა. თავის გუნებაში წყევლიდა კიდეც წაბლის გამჩენს...“
15. რომელ სტროფშია გამოყენებული ჯვარედინი რითმა?
 - ა) „და ალიონზე თეთრ დუქანთან სტირის არღანი.
მტკვარი ახლოა.
უნდა მტკვარში თავი დავიხრჩო.“
 - ბ) „შენ, ჩემო ძმაო, თუ მოკვდები,
არვინ დაგმარხავს,
თავის სამარხი ზედ გარტყია
ვერცხლის ქამარი.“
 - გ) „ერთ ლამაზ ქალზე მარტო ერთი
ლექსი დარჩება,
განა გავხდებით პოეტები
ლექსის ჩარჩებად?“